

აკადემიური საბჭოს

დადგენილება N10

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო კომისიის შემოწმების შესახებ.

2015 წლის 10 ივლისი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააკრედიტაციო კომისიის შემოწმების მსვლელობის პროცესში გამოიკვეთა რომ ყველა დოკუმენტაცია (პროგრამები, სილაბუსები, კურიკულუმები, დებულებები, ინსტრუქციები, წესდება), რომელიც წარედგინა კომისიას, შესაბამისობაშია იმ მოთხოვნებთან რომელსაც ითხოვს კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო, აკრედიტაციის დებულება და თვითშეფასების კითხვარი. მიუხედავად ამისა კომისიის წევრებს ჰქონდათ გარკვეული მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსების ცვილებებთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულ იქნა ჩვენს მიერ. კერძოდ:

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამაში:

1. საგანი - ფიტნესი და წონის კორექცია - სავალდებულო სასწავლო სტატუსიდან გადავიდეს არჩევით სასწავლო კურსის სტატუსში;
2. საგანი - კვება, დიეტოლოგია - სავალდებულო სასწავლო სტატუსიდან გადავიდეს არჩევით სასწავლო კურსის სტატუსში;
3. 6 კრედიტიანი საგანი - პირველი დახმარება ტრამპული დაზიანების დროს - შეიცვალოს 3 კრედიტად;
4. საგანი - ფიზიკური და კოგნიტური დარღვევები და მათი რეაბილიტაცია - ჩაენაცვლა სასწავლო კურსს - დოპინგი და სპორტი;
5. საგანი - სპორტული მასაჟის - ნაცვლად საგანს ეწოდოს - მასაჟი.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) პროგრამაში:

1. საგანი - თანამედროვე სპორტული ტექნოლოგიების ნაცვლად საგანს ეწოდა - სპორტული ტექნოლოგიები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მასწავლებელი) პროგრამაში:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა უნდა შედგებოდეს როგორც ძირითადი, ანუ საგნობრივი კომპონენტისგან, ასევე მასწავლებლის მოსამზადებელი მეთოდური ნაწილისა და თავისუფალი/არჩევითი კომპონენტებისაგან. წარმოდგენილი სტრუქტურა და სილაბუსები მოიცავდა ყველა ზემოთხსენებულ კომპონენტს, თუმცა არ იყო განაწილებული მიმართულებებად: ძირითადი, საგნობრივი ნაწილი, მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა და დანარჩენი საგნები. მოცემული იქნა რეკომენდაციები, რომ წარმოდგენილი საგნები და სილაბუსები სტრუქტურირებული და დაყოფილი ყოფილიყო სამ ძირითად ნაწილად: ძირითადი საგნობრივი სავალდებულო ბლოკი, მასწავლებლის მომზადების პროგრამა და თავისუფალი, არჩევითი საგნები.

დაადგინეს: აღნიშნული მოსაზრებები გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მოსაზრებები და საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილ იქნას ცვლილებები.

აკადემიური საბჭოს თ-რე
პროფესორი

აკადემიური საბჭოს მდივანი
პროფესორი



ჯემალ მაგანია

ნინო ქოჩაკიძე